თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი

ბრძანება

04 ივლისი 2019 წ. თბილისი № 6216/03

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების" მე-14 მუხლის შესაბამისად და "აბიტურიენტებისათვის/ სტუდენტებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 01 ივლისის №861 ბრძანების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნეს ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე დიონ ქრის თომას.

2. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამაზე ჩარიცხულ იქნენ შემდეგი მოქალაქეები:

1. ნისრინე ლიიაკატ ნიმაჩვალა- ინდოეთის რესპუბლიკის მოქალაქე;
2. ტასნიმ ტაბასსუმ ტაუნდრა- ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქე.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2019 წლის 29 ნოემბრამდე.

4. ამ ბრძანების მეორე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2019 წლის 25 ოქტომბრამდე.

5. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე და ჩარიცხული სტუდენტების სწავლების კურსის განსაზღვრა დაევალოს მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანს დ.თოფურიას და მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს.

6. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

7. ბრძანება ეგზავნება ვიცე-რექტორს ხ. თოდაძეს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს თ.კილასონიას, მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკულ პროგრამის დირექტორს ე. ეკალაძეს, თსსუ-ს მედიცინის საერთაშორისო ფაკულტეტის დეკანს დ.თოფურიას, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პროტოკოლის სამსახურის უფროსს თ. სტეფანიშვილს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ეკონომიკურ დეპარტამენტს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ხათუნა თოდაძე

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი